



თხილის მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვა აპრილი- მაისის თვეებში

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
2020

აპრილის დასაწყისი

ფოთლების ფორმირება

- შესხურება გულის სიდამპლის წინააღმდეგ სპილენძის შემცველი პრეპარატებით: პოლტიგლია, ბორდო კაფარო ბლუ, ბორდოფლო ნიუ, კუპერვალი, ბორდო ლუქსი ან სხვა ბორდოს ნარევის (სპილენძის სულფატი + კალციუმის ჰიდროქსიდი) შემცველი ფუნგიციდები - ხარჯვის ნორმა 6-7 კგ/ჰა
- მექანიკური ღონისძიებები მოზამთრე მავნებლების წინააღმდეგ (დაზიანებული ტოტების გამოჭრა-გამოტანა)

აპრილის ბოლო-მაისის დასაწყისი

სამყურა ფოთლის ფაზა, 12-15°C და ზევით სადღეღამისო ტემპერატურა

- კომბინირებული წამლობა: შესხურება აკარიციდებით კვირტის ტკიპას წინააღმდეგ (2-3 ტკიპათი დაზიანებული კვირტი 1 სიგრძე მეტრზე): ენვიდორი 0.4 ლ/ჰა, ან ვერტიმეკი 1ლ/ჰა, ან ტალავი 0.4-0.5 კგ/ჰა, ან მასაი 0.5 კგ/ჰა, ან ორტუსი 0.5-0.75 ლ/ჰა, ან გოლდმაიტი 2.2-4.3 ლ/ჰა, ან ობერონი 0.5 l/ha, ან კაისო 0.8 კგ/ჰა ან სხვა აკარიციდები + შესხურება გულის სიდამპლების გამომწვევი სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების წინააღმდეგ: სპეციფიური სისტემური ფუნგიციდები - სვიტჩი 1.0 კგ/ჰა, ან კარნავალი 1.0 ლ/ჰა, ან სკალა 1 კგ/ჰა, ან როვონე 1 კგ/ჰა, ან კანტუსი 1 კგ/ჰა, როვრალ აქვაფლო 1.0-1.5 ლ/ჰა, ან სიგნუმი 1 კგ/ჰა, ან ლუნა სენსიშენი 0.25-3.0 ლ/ჰა, ან ზატო სტარი 0.5 ლ/ჰა; სპილენძის შემცველი კონტაქტური ფუნგიციდები: კოსაიდ 2000 3-4 კგ/ჰა, ან ნორდოქსი 3 კგ/ჰა, ან აირონი 4-5 კგ/ჰა, ან იროკო 3-4 კგ/ჰა, ან კოპერ-ქაუნთი 5ლ/ჰა, ან ჩემპიონი 4 კგ/ჰა, ან კუპროქსატი 4-5 ლ/ჰა, ან კუპროფლო 3.5 კგ/ჰა +

შესხურება ნაცრის საწინააღმდეგოდ გოგირდის შემცველი კონტაქტური ფუნგიციდებით (თანმდევი ეფექტი კვირტის ტკიპას წინააღმდეგ, თუ მისი რაოდენობა 1 სიგრძე მეტრზე 2-ზე ნაკლებია)- თიოვიტ-ჯეტი 5-6 კგ/ჰა, ან სულფოლაკი 5 კგ/ჰა, ან კუმულუსი 5 კგ/ჰა, ან პოვერ სულფური 5-6 კგ/ჰა.

- ძლიერი ნაცრის კერებში (გავრცელება 40-45%, ინტენსივობა 15-20%) შესხურება სისტემური ფუნგიციდებით: ტოპაზი 0.4 ლ/ჰა, ან მისტიკი 0.4-0.5 ლ/ჰა, ან პანჩი 0.1-0.12 ლ/ჰა, დინალი 0.7-0.9 ლ/ჰა, ზატო სტარი 0.5 ლ/ჰა, ან სტრობი 0.2 კგ/ჰა, ან ტალენდო 0.25 ლ/ჰა, ან ფალკონი 0.3 ლ/ჰა.

- გამოთიბვა, დამულჩვა ან შესხურება სარეველების წინააღმდეგ: ფასინტი 4 ლ/ჰა, ან სანფორსი 3-4 ლ/ჰა, ან კლინი 3 ლ/ჰა, ან ნოკდაუნი მაქსი 2.0-2.5 კგ/ჰა, ან რაუნდაპი ექსტრა 3-5 ლ/ჰა
- შავი ხარაბუზათი დაზიანებული წვეროების გამოჭრა გამზმარი ადგილიდან 20 სმ დაცილებით
- ხელით შეცლა ან შესხურება ძირებიდან ამონაყარის გასანადგურებლად: კაბუკი 200-400 მლ/100ლ წყალში.

მაისის ბოლო

ნაყოფების ფორმირებამდე

- კომბინირებული წამლობა - შესხურება გულის სიდამპლის წინააღმდეგ: ზემოთ მოცემულისიდაამპლის საწინააღმდეგო სპეციფიკური ან სპილენძის შემცველი კონტაქტური ფუნგიციდები + შესხურება ნაცრის წინააღმდეგ გოგირდის შემცველი კონტაქტური ფუნგიციდებით +

შესხურება აზიური ფაროსანას (*Halyomorpha halys*) იმაგოების და ახლადგამოჩეკილი ნიმფების წინააღმდეგ: ბიფენტრინის შემცველი ინსექტიციდები - თეიქოფი 0.6 ლ/ჰა, ან ზონდერი 0.6 ლ/ჰა, ან ტალსტარი 0.6 ლ/ჰა, ან ინსაკარი 0.3-0.6 ლ/ჰა, ან ფენდი 0.6-1 ლ/ჰა, ან კურა-კურა 0.6 ლ/ჰა, ან ასევე პირინექს სუპერი (ბიფენტრინი+ ქლორპირიფოსი)- 0.7 ლ/ჰა, ან ანტიბრუმი (ბიფენტრინი+ იმიდაკლოპრიდი)- 0.3-0.5 ლ/ჰა, ნურელ დ (ქლორპირიფოსი+ ციპერმეტრინი)-1.5 ლ/ჰა, ან სტარკლი (დინოტეფურანი)-0.7-1 კგ/ჰა, ან დეცის ფლუქსი (დელტამეტრინი)-0.5 ლ/ჰა, ან ლანატი (მეტომილი)-2 ლ/ჰა, ან კონფიდორ მაქსი (იმიდაკლოპრიდი)-0.1 კგ/ჰა.

- შესხურება შავი ხარაბუზას და „ამბროზიის“ ხოჭოს იმაგოების წინააღმდეგ მათი ფრენის პერიოდში (ტალსტარი, ნურელ დ, დეცის ფლუქსი, კონფიდორ მაქსი, ლანატი და სხვა)
- „ამბროზიის“ ხოჭოს წინააღმდეგ სპირტხსნარიანი (10%) მისატყუარის გამოყენება (1-2 ცალი 1000 მ²-ზე)

შენიშვნა:

რეკომენდაციაში მოცემული პესტიციდები რეგისტრირებულია საქართველოში. შესაძლებელია მისი კორექტირება, ასევე პრეპარატების ჩანაცვლება სპეციალისტებთან შეთანხმებით კლიმატური პირობების, ზონალობის, პესტიციდების ასორტიმენტისა და გამოყენების რეგლამენტების გათვალისწინებით.

სამუშაო ხსნარის მომზადება:

ჩატარებული წამლობის ეფექტურობისათვის საჭიროა სამუშაო ხსნარის კონცენტრაციის ზუსტი განსაზღვრა: სამუშაო ხსნარის კონცენტრაცია არის პრეპარატის ხარჯვის ნორმა (1 ჰა-ზე) გამრავლებული 100-ზე და გაყოფილი სამუშაო ხსნარის ხარჯვის ნორმაზე (1 ჰა-ზე).